5

# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №320206/06/37

(CPV კოდი: 22111000 - სასკოლო წიგნები)

**(SMP180000682)**

ქ. თბილისი 16 მარტი 2018 წელი

ერთი მხრივ, ს.ს.ი.პ. ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222 (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზვიად როსტომაშვილის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „გამომცემლობა ტრიასი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ელდარ არსენაშვილის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი"), 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2018 წლის 14 მარტის #795 განკარგულების, ავტორებთან გაფორმებული (საავტორო უფლების გადაცემის შესახებ) ხელშეკრულებისა და 2018 წლის 01 მარტის N245022 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1.ტერმინთა განმარტება

1.1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.

1.2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.2.1."ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული, ამავე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისთვის.

1.2.3. "შემსყიდველი" (შემდგომში – "შემსყიდველი") – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.2.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე აწვდის საქონელს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.2.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.2.6. ,,საქონელი" ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დაბეჭდილ მზა პროდუქციას - წიგნები (დამხმარე ლიტერატურა), რომლებიც იდენტური შინაარსის და რედაქციისაა, რაც მიმწოდებელმა ბოლო გამოცემისას მიაწოდა საქართველოს არაქართულენოვანი საჯარო სკოლების/სექტორების შესაბამისი საგნებისა და კლასების (მე-7 - მე-12 კლასის) მოსწავლეებს და რომელიც შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. მუხლითა და დანართი N1-ით განსაზღვრული ტექნიკურ მახასიათებლებსა და სპეციფიკაციას.

1.2.7. „ოქროს დისკი“ (CD/DVD) ნიშნავს მიმწოდებლის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნებისათვის, გამოსაყენებლად განკუთვნილ მასალას – დანართი N1-ში ჩამოთვლილ თითოეული წიგნის (დამხმარე ლიტერატურის) სრული ელექტრონული რედაქტირებადი ვერსია, შესრულებული გრაფიკულ (საგამომცემლო) პროგრამაში შესაბამისი ფონტებითა და ლინკებით, რომელიც შემსყიდველს გადაეცემა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ შემთხვევებში, ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

## 2.ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სასკოლო სახელმძღვანელოების შესყიდვა თანმდევი მიწოდების პირობით.

2.2. ხელშეკრულების საგნის მიზანს წარმოადგენს საქართველოს არაქართულენოვანი საჯარო სკოლების/სექტორების შესაბამისი საგნებისა და კლასების (მე-7-მე-12 კლასის) მოსწავლეების წიგნებით (დამხმარე ლიტერატურით) უზრუნველყოფა.

2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების პირობები, წიგნების დასახელება, კლასი, რომლისთვისაცაა იგი განკუთვნილი, ტირაჟის რაოდენობა, ერთეულის/ჯამური ღირებულება და მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულებაში და მის დანართში (დანართი N1), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 3. შესყიდვის ობიექტის სტანდარტები, მიწოდების პირობები და მიწოდების ადგილი

3.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლის სპეციფიკაციები უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს. მისაწოდებელი პროდუქციის ტექნიკური მახასიათებლები და სპეციფიკაცია მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართის სახით (დანართი N1) .

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

3.3.1. საქონლის მიწოდება სათანადო შეფუთვით (პოლიეთილენი ან ქაღალდი), რაზედაც აღნიშნული იქნება შეფუთული საქონლის დასახელება, კლასი, რაოდენობა და წიგნის კოდი;

3.3.2. მისაწოდებელი საქონლის ტრანსპორტირება მიწოდების ადგილზე, იმ საშუალებებით რაც გამორიცხავს შეფუთვის ან/და საქონლის დაზიანებას;

3.3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ჩამოტვირთვა სატრანსპორტო საშუალებიდან და სააგენტოს დროებით სარგებლობაში არსებულ საწყობში განთავსება. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, იუმაშევის ქ. N4.

3.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია შესრულება განახორციელოს მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე.

3.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხარეების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.6. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დაფარული ნივთობრივი ნაკლის გამოსწორების ვალდებულებისაგან, თუ ეს ნაკლი იყო დაფარული და მისი გამოვლენა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტისათვის იყო შეუძლებელი.

3.7. ხელშეკრულების პირობების შესრულების მიზნით შემსყიდველი ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას უშუალოდ მიწოდების ადგილზე. ინსპექტირების ჯგუფის წევრები არიან სსიპ „საგანმნათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის

განვითარების სააგენტო“-ს საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები - ნიკოლოზ სხილაძე ან/და თენგიზ თოდაძე.

3.8. მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირები არიან სსიპ „საგანმნათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ლელა სვიმონია ან/და ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტი ეკატერინე ომიაძე.

## 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **12 251.00** (**თორმეტი** ათას **ორასორმოცდათერთმეტი**) ლარს.

4.2. მისაწოდებელი საქონლის დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასი მითითებულია დანართში (დანართი N1), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება მიმწოდებელს და საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდების ხარჯი.

## 5. საქონლის მიწოდების ვადები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეში, შემდეგი ეტაპების გათვალისწინებით:

ა) ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში მოწოდებული უნდა იყოს სრული რაოდენობის 35%;

ბ) მომდევნო 15 კალენდარულ დღეში მოწოდებული უნდა იყოს სრული რაოდენობის 35%;

გ) მომდევნო 15 კალენდარულ დღეში მოწოდებული უნდა იყოს სრული რაოდენობა 30%;

## 6. ოქროს დისკის წარდგენის და გამოყენების წესი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან შვიდი სამუშაო დღის განმავლობაში დაუდასტუროს შესაქმნელ საქონელთან დაკავშირებული ოქროს დისკების (ელექტრონული ფაილების არარსებობის შემთხვევაში - ფერდაშლის ფირების) არსებობის ფაქტი. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით შემსყიდველის წარმომადგენელი გაეცნობა წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული თითოეულ წიგნთან მიმართებაში შექმნილ ოქროს დისკს მიმწოდებლის კუთვნილი ტექნიკური ხელსაწყოს (კომპიუტერის) მეშვეობით. აღნიშნულზე შედგება დათვალიერების აქტი. დათვალიერების აქტის შედგენის შემდეგ, ოქროს დისკი (დისკები) დაილუქება და შეინახება მესამე პირთან (ააიპ საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია).

6.2. მიმწოდებელი თანახმაა შემსყიდველს გადასცეს საქონლის რეპროდუცირებისა და გავრცელების უფლება იმ პირობით, თუ ამ უფლებას შემსყიდველი გამოიყენებს მხოლოდ მიმწოდებლის მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

6.3. შემსყიდველს უფლება აქვს ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადების 5 კალენდარულ დღეზე მეტით დარღვევის შემთხვევაში ისარგებლოს ერთჯერადად საქონლის რეპროდუცირებისა და გავრცელების უფლებით, მათ შორის ეს უფლება ხელშეკრულების

მიზნების მისაღწევად გადასცეს ნებისმიერ მესამე პირს. ამასთან, ამ მუხლის მიზნებისათვის, რეპროდუცირების უფლება ვრცელდება მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც საჭიროა წინამდებარე ხელშეკრულების მიზნების მიღწევისათვის, კერძოდ შემსყიდველი უფლებამოსილება ვრცელდება წიგნების (დამხმარე ლიტერატურის) გამოცემაზე მხოლოდ იმ ოდენობით, რომელთა მიწოდებაც არ განახორციელა მიმწოდებელმა დადგენილ ვადებში.

6.4. მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ მისაწოდებელ საქონელზე, აგრეთვე ოქროს დისკზე დაცულ ელექტრონულ მონაცემებზე ვრცელდება მიმწოდებლის საავტორო უფლებები, რომელიც რეპროდუცირების უფლებით შეიძლება გადაეცეს შემსყიდველს, მხოლოდ ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის, ამ ხელშეკრულებით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

6.5. წინამდებარე ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიმწოდებელს დამატებით ერთჯერადად დაეკისრება ვადაგადაცილების პირგასამტეხლო, მიუწოდებელი საქონლის ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თავისუფლდება მიუწოდებელ ნაწილზე შესყიდვის ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან.

6.6. წინამდებარე ხელშეკრულების 6.3. მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას, შემსყიდველი უფლებამოსილია რეპროდუცირების უფლების სარგებლობის მიზნით მოითხოვოს ოქროს დისკის (დისკების) გადაცემა, ხოლო მესამე მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს შემსყიდველს ოქროს დისკი (დისკები).

## 7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

7.2. ხელშეკრულების ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს სამი სახის ანგარიშსწორება: საავანსო, ეტაპობრივი, საბოლოო;

7.3. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, საავანსო ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 100%-ის ოდენობით. საავანსო ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან გაცემული უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია საავანსო თანხაზე, რომლის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში - ლარში. უცხოური ბანკიდან ან/და სადაზღვევო კომპანიიდან საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში მასთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან გაცემული „კონტრგარანტია“ (ლარში). საბანკო გარანტია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

7.4. ავანსის სახით გადახდილი თანხის გაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულებიდან შემდეგი პროპორციით: 50%-ი მიმართული იქნება ავანსის სახით გადახდილი თანხის გასაქვითად, ხოლო დარჩენილი 50%-ი დაექვემედებარება ანაზღაურებას. კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლის წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე, ავანსის გასაქვითად შეიძლება მიიმართოს მიწოდებული საქონლის ღირებულების 50%-ზე მეტი თანხა;

7.5. ეტაპობრივი ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის დასკვნის (რომლითაც უნდა დადასტურდეს მოწოდებული საქონლის შესაბამისობა სააგენტოს მიერ მოთხოვნილ მახასითებლებთან მიმართებაში) საფუძველზე, ამ დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

7.6. საბოლოო ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდების დასრულების შემდეგ, ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის მიხედვით, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა და და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის დასკვნის (რომლითაც უნდა დადასტურდეს მოწოდებული საქონლის შესაბამისობა სააგენტოს მიერ მოთხოვნილ მახასითებლებთან მიმართებაში) საფუძველზე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

## 8. მხარეთა უფლებები

8.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი, ანუ წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. მუხლითა და ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული სტანდარტებისა და მახასიათებლების მქონე საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, რომლებიც იდენტური შინაარსის და რედაქციისაა, რაც მიმწოდებელმა ბოლო გამოცემისას მიაწოდა საქართველოს არაქართულენოვანი საჯარო სკოლების/სექტორების შესაბამისი საგნებისა და კლასების (მე-7 - მე-12 კლასის) მოსწავლეებს.

8.2.2. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი, იმგვარად, რომ არ ჩაერიოს მიმწოდებლის მიერ მზა საქონლის დამზადების პროცესში და მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია მე-5 მუხლით განსაზღვრული ვადების შესაძლო დარღვევის დროული გამოვლენისათვის.

8.2.3. ისარგებლოს წიგნის (დამხმარე ლიტერატურის) რეპროდუცირებისა და გავრცელების უფლებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში.

## 9. მხარეთა ვალდებულებები

9.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

9.1.1. ბეჭდვისას გამოიყენოს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა მასალები.

9.1.2. მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი მიწოდებისას წარმოადგინოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის დასკვნა (რომლითაც უნდა დადასტურდეს მოწოდებული საქონლის შესაბამისობა სააგენტოს მიერ მოთხოვნილ მახასითებლებთან მიმართებაში), რის შემდეგაც მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება. დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება და შესაბამისი ხარჯის გაწევა ეკისრება მიმწოდებელს.

9.1.3. შემსყიდველი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელს მოსთხოვოს დამატებითი კვლევის ჩატარება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი ხარჯის გაწევა ეკისრება მიმწოდებელს;

9.1.4. დადგენილ ვადაში, ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი. ამ მუხლის მიზნებისათვის:

ა) უფლებრივად უნაკლო საქონელი ნიშნავს ისეთ საქონელს, რომელზეც არ არსებობს მესამე პირის საავტორო ან სხვა სახის უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნა.

ბ) ხოლო ნივთობრივად უნაკლო საქონელი ნიშნავს ისეთ საქონელს, რომლებიც იდენტური შინაარსის და რედაქციისაა, რაც მიმწოდებელმა ბოლო გამოცემისას მიაწოდა საქართველოს არაქართულენოვანი საჯარო სკოლების/სექტორების შესაბამისი საგნებისა და კლასების (მე-7 - მე-12 კლასის) მოსწავლეებს და რომელიც შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. მუხლითა და ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებულ სტანდარტებს;

გ) საქონელი ნივთობრივად უნაკლოდ უნდა იქნეს მიჩნეული იმ შემთხვევებშიც, თუ ნაკლის გამოვლენისთვის ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვადის განმავლობაში მასში აღმოჩნდა იმ ტიპის შინაარსობრივი ან ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ — სადაო სიზუსტის თარგმანი, კორექტურული თუ სტილისტური ხასიათის შეცდომები/ხარვეზები, ტექნიკური ხარვეზები არაქართულენოვანი თუ ორენოვანი მასალის განთავსების ნაწილში და სხვა, რაც არსებით გავლენას არ ახდენს სასწავლო მასალის ათვისებაზე — რომლებიც არსებობდა ამ წიგნების არაქართულენოვანი სკოლების/სექტორის მოსწავლეებისთვის ბოლო მიწოდების დროს და რომელთა გამოვლენა და გასწორება თავის დროზე არ მომხდარა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურის მიერ თარგმანის და/ან დაკაბადონებული მასალის ექსპერტიზის პროცესში, — მიუხედავად იმისა, ჩატარდა თუ არა ამა თუ იმ ტიპის ექსპერტიზა.

9.1.5. თავისი ხარჯით გამოასწოროს მიწოდებულ საქონელთან მიმართებაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ გამოვლენილი ნივთობრივი ნაკლი. მხარეთა შეთანხმებით, მიმწოდებლის ვალდებულება დაფარული ნივთობრივი ნაკლის გამოსწორებასთან მიმართებაში ძალაშია მიწოდების დასრულების დასრულებიდან სამი თვის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ შემსყიდველს აღარ ექნება უფლება მიმწოდებელს მოსთხოვოს ვადის გასვლის შემდეგ გამოვლენილი ნივთობრივი ნაკლის გამოსწორება.

9.1.6. მიმწოდებელი ადასტურებს, რომ სრული უფლებამოსილება გააჩნია გააფორმოს წინამდებარე ხელშეკრულება, რამდენადაც მის მიერ გამოხატული ნება სრულად შეესაბამება წიგნის (დამხმარე ლიტერატურის) ავტორთა საავტორო უფლებებს.

9.1.7. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრეტენზიები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9.2. შემსყიდველი ვალდებულია:

9.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.2.2. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობით შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## 11. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებით ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

12.2. მხარეებმა სადავო საკითხების შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

## 13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით დათქმულ ვადებში და ადგილზე. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

13.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით;

13.3. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება

(სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ).

13.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ეტაპების ან/და საბოლოო ვადის დარღვევის შემთხვევაში (მათ შორის უხარისხო, არასრული მოცულობით, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის დასკვნის გარეშე მიწოდების შემთხვევაში) მიმწოდებელს, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ფარგლებში დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

13.5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადას გადააცილებს 5 (ხუთი) კალენდარულ დღეზე მეტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხელშეკრულების ნაწილობრივი შესრულების გამო მიმწოდებელი დაჯარიმოს ხელშეკრულების ფარგლებში დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

13.6. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის საფუძველზე მეორე მხარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ;

13.7. ხელშეკრულების მხარე, რომელიც მიიღებს ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი;

13.8. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

13.9. შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, ასევე, შემდეგ შემთხვევებში:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

13.10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში (13.4 და 13.5 პუნქტებით გათვალისწინებულის გარდა) მიმწოდებელი, ყოველ შემთხვევაზე, ჯარიმდება, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 5%-ის ოდენობით;

13.11. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულებას ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 15%-ის ოდენობით;

13.12. თუ შემსყიდველი ხელშეკრულების 7.5. პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, ამავე პუნქტში მითითებულ ვადაში, ვერ უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას, მიმწოდებელი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ეტაპების გადახედვის თაობაზე;

13.13. ამ მუხლის 13.9. პუნქტში მითითებული რომელიმე გარემოებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება;

13.14. ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც უკავშირდება შესყიდვის ობიექტის დაგეგმილ ვადაში მიწოდებას და არ იფარება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიითა და პირგასამტეხლოს თანხით;

## 14. ხელშეკრულების ენა და ხელშეკრულების სავალდებულო ძალა

14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

14.2. ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმების დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 29 მაისის ჩათვლით.

## 15. განსაკუთრებული პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

15.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი ეგზემპლარი – შემსყიდველთან.

## 16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

ს.ს.ი.პ. ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222

დირექტორი ზვიად როსტომაშვილი

---

(ხელმოწერა ან/და ბეჭედი)

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „გამომცემლობა ტრიასი", მისამართი: ქ. თბილისი, რობაქიძის ქ. N7, ს/კ: 405060801; ბანკის დასახელება: ს.ს. „თიბისი ბანკი", კოდი: TBCBGE22; ანგარიშის ნომერი: GE18TB7117536080100006

დირექტორი ელდარ არსენაშვილი

---

(ხელმოწერა ან/და ბეჭედი)

**დანართი №1**

| | |
|---|---|
| კომპანიის დასახელება: | გამომცემლობა ტრიასი |
| ს/კ: | 405060801 |
| საბანკო ანგარიში: | GE18TB7117536080100006 |
| მომსახურე ბანკი: | თი ბი სი |
| დირექტორის სახელი და გვარი: | ელდარი არსენაშვილი |
| მისამართი: | რობაქიძის 7 |
| საკონტაქტო ნომერი: | 579497799 |

| | | |
|---|---|---|
| თარიღი: | 16.03.2018 | |

| N | სექტორი | გამომცემლობა | წიგნის კოდი | კლასი | საგანი | წიგნის დასახელება | ავტორი | ზომა | გვერდები | ქაღალდი | ყდა | ბეჭდვა | კინძვა | სახელმძღვანელოს რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | ჯამური ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აზერბაიჯანული | შპს "საგამომცემლო სახლი ტრიასი" | 782 | 8 | ბიოლოგია (VIII-XI კლასები) | ბიოლოგია | ნანა ზაალიშვილი, ნანა იოსებაშვილი | A-4 | 112გვ | 70გრ ოფსეტი | 200გრ ცარცი 4X0 | 4x4 | უნაკერო | 677 | 13 | 8801 |
| 2 | სომხური | შპს "საგამომცემლო სახლი ტრიასი" | 841 | 8 | ბიოლოგია (VIII-XI კლასები) | ბიოლოგია | ნანა ზაალიშვილი, ნანა იოსებაშვილი | A-4 | 112გვ | 70გრ ოფსეტი | 200გრ ცარცი 4X0 | 4x4 | უნაკერო | 230 | 15 | 3450 |
| | | | | | ჯამი | | | | | | | | | 907 | | 12251 |

სულ ღირებულება: 12251(თორმეტიათას ორას ორმოცდათერთმეტი)ლარი

ს.ს.ი.პ"საგანმანათლებლო და სამეცნიერო

ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"

დირექტორი

ზვიად როსტომაშვილი

.....

შპს გამომცემლობა"ტრიასი"

დირექტორი

ელდარ არსენაშვილი

.....

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

MES 3 18 00245022

01/03/2018

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორს
ბატონ ზვიად როსტომაშვილს

ბატონო ზვიად,

მოგახსენებთ, რომ N199992 სამსახურებრივი ბარათის მეშვეობით აიტვირთა ბაზრის კვლევის ანგარიში 2018-2019 სასწავლო წლისათვის საჭირო 7-12 კლასის არაქართული სექტორის (ბილინგვური) სახელმძღვანელოებისა და რვეულების შესყიდვასთან დაკავშირებით.
აღნიშნულის თაობაზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურისგან მივიღეთ N217607 და N221654 სამსახურებრივი ბარათები, სადაც გამომცემლობის მიერ მოწოდებული ღირებულებები და რაოდენობები შედარებულია 2017 წელს შესყიდული სახელმძღვანელოების რაოდენობებსა და ერთეულის ღირებულებებს, გარდა შპს "სიდი"-ს და შპს "ლოგოს პრესი"-ს მიერ მოსაწოდებელი სახელმძღვანელოებისა, ვინაიდან 2017 წელს მათგან შესყიდვა არ განხორციელებულა.
იმის გათვალისწინებით, რომ მომწოდებლების მიერ ძირითად შემთხვევაში გაზრდილი იყო ერთეულის ღირებულებები, პირველ ეტაპზე წარმოდგენილი სახელმძღვანელოების ერთეულის ღირებულებების შესაძლებლობის ფარგლებში შემცირებისკენ კორექტირების მიზნით, გამომცემლობებთან გადაგზავნილ იქნა შეტყობინებები.

გამომცემლობებმა განიხილეს ფასის კლების შესაძლებლობა და წარმოადგინეს შედეგები:

**„ინგლისური წიგნი საქართველოში“**
სახელმძღვანელოებისა და რვეულების ჯამური რაოდენობა - 127 168 ცალი;
მათ შორის: სახელმძღვანელო - 8 055 ცალი; რვეული - 119 113 ცალი;
სახელმძღვანელოს ერთეულის საშუალო ღირებულება - 10,1 ლარი;
სახელმძღვანელოს ჯამური ღირებულება - 81 512 ლარი;
რვეულის ერთეულის საშუალო ღირებულება -8,3 ლარი;
რვეულის ჯამური ღირებულება - 989 528 ლარი;
ჯამური ღირებულება (წიგნები, რვეულები)– 1 071 040 ლარი;
ჯამური ღირებულება შემცირდა - 8 238 ლარი.
**„იუნიქ ლერნინგი“**
ღირებულებები უცვლელი დარჩა, რაც კომპანიის გადმოცემით განპირობებულია ფუნტის კურსის ზრდით ლართან მიმართებაში და ტირაჟის შემცირებით.
**შესაბამისად, ღირებულება განისაზღვრა:**

რვეულების ჯამური რაოდენობა - 45 485 ცალი;
რვეულის ერთეულის ღირებულება -8 ლარი;
რვეულის ჯამური ღირებულება - 363 896 ლარი.

**გამომცემლობა „ინტელექტი“**
ღირებულებები უცვლელი დარჩა, რაც გამომცემლობის გადმოცემით განპირობებულია საბეჭდი მასალის ფასის ზრდით, ტირაჟის შემცირებით და ლარის გაუფასურებით დოლართან და ევროსთან მიმართებაში.
**შესაბამისად, ღირებულება განისაზღვრა:**
სახელმძღვანელოს ჯამური რაოდენობა - 9 408 ცალი;
სახელმძღვანელოს ერთეულის საშუალო ღირებულება - 20,2 ლარი;
ჯამური ღირებულება - 189 758 ლარი.

**გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“**
ღირებულებები უცვლელი დარჩა, რაზეც გამომცემლობის აცხადებს, რომ წინა წლებთან შედარებით ფასები არ გაზრდილა.
**შესაბამისად, ღირებულება განისაზღვრა:**
სახელმძღვანელოს ჯამური რაოდენობა - 2 918 ცალი;
სახელმძღვანელოს ერთეულის საშუალო ღირებულება - 13,4 ლარი;
ჯამური ღირებულება - 39 110 ლარი.

**გამომცმელობა „ტრიასი“**
სახელმძღვანელოს ჯამური რაოდენობა - 907 ცალი;
სახელმძღვანელოს ერთეულის საშუალო ღირებულება - 13,5 ლარი;
ჯამური ღირებულება - 12 251 ლარი.
ჯამური ღირებულება შემცირდა - 1 354 ლარით.

**გამომცემლობა „ლოგოს პრესი“**
სახელმძღვანელოს ჯამური რაოდენობა - 2 831 ცალი;
სახელმძღვანელოს ერთეულის საშუალო ღირებულება - 32,7 ლარი;
ჯამური ღირებულება - 92 691,68 ლარი.
გამომცემლობა ასევე გვამცნობს, რომ ღირებულების ზრდა გამოწვეულია მცირე ტირაჟებით, ეროვნული ვალუტის გაუფასურებით, ბეჭდვის შეკუმშული ვადებით და სახელმძღვანელოების დიდი მოცულობით.
ასევე აფიქსირებს თხოვნას მიწოდების ვადის განრიგის კორექტირებასთან დაკავშირებით, 45 დღიანი ვადის უცვლელად. კერძოდ:

1. 20 დღეში წიგნების 35%
2. 15 დღეში წიგნების 35%
3. 10 დღეში წიგნების 30%

სააგენტოს მიერ განსაზღვრული მიწოდების ვადებია:
1. 15 კალენდარულ დღეში მოწოდებული უნდა იყოს სრული რაოდენობის 35%;
2. მომდევნო 15 კალენდარულ დღეში მოწოდებული უნდა იყოს სრული რაოდენობის 35%;
3. მომდევნო 15 კალენდარულ დღეში მოწოდებული უნდა იყოს სრული რაოდენობა 30%;

**“გამომცემლობა სიდი-ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი”**
სახელმძღვანელოს ჯამური რაოდენობა - 520 ცალი;
სახელმძღვანელოს ერთეულის ღირებულება - 17 ლარი;
ჯამური ღირებულება - 8 840 ლარი.
ჯამური ღირებულება შემცირდა - 520 ლარით.

**გამომცემლობა „ბაკურ სულკაური“**
ღირებულებები უცვლელი დარჩა. კომპანიის გადმოცემით ტირაჟების შემცირების მიუხედავად ფასები იგივე დარჩა ერთი დასახელების რვეულის გამოკლებით, რომელიც 0,5 ლარით მეტი ღირს 2017 მოწოდებულ ღირებულებებთან შედარებით.
**შესაბამისად, ღირებულება განისაზღვრა:**
რვეულების და ტესტების ჯამური რაოდენობა - 7 229 ცალი;
მათ შორის: რვეული - 4 237 ცალი; ტესტი - 2 992 ცალი;
რვეულის ერთეულის საშუალო ღირებულება - 7,2 ლარი;
რვეულის ჯამური ღირებულება - 30 432, 4 ლარი
ტესტების ერთეულის საშუალო ღირებულება - 6,5 ლარი;
ტესტების ჯამური ღირებულება - 19 402,4 ლარი.
ჯამური ღირებულება (ტესტები, რვეულები) – 49 834,8 ლარი.

**გამომცემლობა „დიოგენე“**
ღირებულებები უცვლელი დარჩა. გამომცემლობა მიზეზს არ გვისახელებს აღნიშნულთან დაკავშირებით.
**შესაბამისად, ღირებულება განისაზღვრა:**
რვეულის ჯამური რაოდენობა - 529 ცალი;
რვეულის ერთეულის ღირებულება - 10 ლარი;
ჯამური ღირებულება – 5 290 ლარი.

თანდართული ფაილის სახით იხილეთ გაგზავნილი და მიღებული შეტყობინებები, ასევე შემოთავაზებები და ექსკლუზივის დამადასტურებელი დოკუმენტები.

დანართი: 25 (ოცდახუთი) ფაილი.

გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო /
ფინანსური რესურსების მართვისა და დაგეგმვის
სამსახური
ბაზრის კვლევის სპეციალისტი
სოფიო ბაკურაძე

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080149825160018

**# 795** **14 / მარტი / 2018 წ.**

## სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 12 მარტს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ SMP180000682 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია სასკოლო სახელმძღვანელოები და რვეულები (CPV-22100000 - ნაბეჭდი წიგნები, ბროშურები და საინფორმაციო ფურცლები), ღირებულებით - 1832711.48 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტების - განათლების ხარისხისა და ყველასათვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო ქმნის განათლების სისტემის განვითარების და სათანადო სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფის პირობებს. აღნიშნული მიზნების რეალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება სახელმწიფოს მიერ განისაზღვრა ზოგადსაგანმანათლებლო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად. ამ მხრივ ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოსწავლის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა. შესაბამისად, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიმდინარე წლის 22 თებერვლის № 15 ბრძანების საფუძველზე, ახორციელებს მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამას. მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამით დაგეგმილი აქტივობის განხორციელებისათვის სხვადასხვა ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე გამომცემლობებისგან საჭიროა სხვადასხვა რაოდენობის სახელმძღვანელოების შესყიდვა.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების VII-XII კლასებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 2011 წლამდე მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმით. შესაბამისად, სწავლება ხორციელდება სახელმძღვანელოებით, რომლებსაც გრიფი მიენიჭა (შემდეგში - ითარგმნა) 2011 წლამდე. რაც შეეხება გერმანული ენის და ფრანგული ენის სახელმძღვანელოებს, აღნიშნულთან დაკავშირებით, 2013 წლის 21

აგვისტოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლებსა და გერმანული ენის და ფრანგული ენის სპეციალისტებს შორის გამართულ შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველოს სკოლებში გერმანული, როგორც მეორე უცხოური ენის, საბაზო/საშუალო საფეხურზე სწავლებისათვის, გრიფირებული სახელმძღვანელოების დადგენამდე, სკოლებს განეხილათ სახელმძღვანელოების სერია „Genial" და „Optimal". ხოლო ფრანგულ ენაში განიხილონ სახელმძღვანელოების სერია „Bien Joue!" წარმოდგენილი შპს „გამომცემლობა დიოგენესა" და ფრანგული გამომცემლობა „HACHETTE"-ის ერთობლივი პროექტის სახით. სწორედ მოცემული გადაწყვეტილების საფუძველზე ხორციელდება 2013 წლიდან მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამა ხსენებულ სახელმძღვანელოებთან მიმართებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა მოცემული სახელმძღვანელოებისა და რვეულების ჩასანაცვლებლად.

როგორც მომართვაში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, აღსანიშნავია, რომ შპს „ინგლისური წიგნი საქართველოში" არის გამომცემლობების Macmillan Education-ის English World-ის, OXFORD University Press-ისა და Pearson-ის ოფიციალური და ექსკლუზიური წარმომადგენელი, ხოლო შპს „იუნიქ ლერნინგი" არის გამომცემლობის Macmillan Education Gateway-ის ოფიციალური და ექსკლუზიური წარმომადგენელი საქართველოში. გამომცემლობა „ინტელექტის", გამომცემლობა „საქართველოს მაცნეს", გამომცემლობა „ტრიასის", გამომცემლობა „სიდი-ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრის", გამომცემლობა „ლოგოს პრესის" და გამომცემლობა „დიოგენეს" შემთხვევაში, წარმოდგენილია შესაბამის ავტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც ადასტურებს მათ ექსკლუზიურ უფლებამოსილებას, საქართველოს ტერიტორიაზე გამოსცენ მომართვაში მითითებული სახელმძღვანელოები და რვეულები. შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესასყიდი სახელმძღვანელოების ავტორებსა და მოცემულ გამომცემლობებს შორის დადებული ხელშეკრულებების თანახმად, მათი მოქმედების პერიოდში, მასალის თარგმნისა და გამოცემის უფლება წარმოადგენს კონკრეტული გამომცემლობის ექსკლუზიურ უფლებას და მომართვაში მითითებული გამომცემლობების გარდა არ არსებობენ სხვა პირები, რომლებიც შეძლებენ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესასყიდი საქონლის მიწოდებას.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, იმდენად რამდენადაც, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, შპს „ინგლისური წიგნი საქართველოში" არის გამომცემლობების Macmillan Education-ის English World-ის, OXFORD University Press-ისა და Pearson-ის ოფიციალური და ექსკლუზიური წარმომადგენელი, ხოლო შპს „იუნიქ ლერნინგი" არის გამომცემლობის Macmillan Education Gateway-ის ოფიციალური და ექსკლუზიური წარმომადგენელი საქართველოში. გამომცემლობა „ინტელექტის", გამომცემლობა „საქართველოს მაცნეს", გამომცემლობა „ტრიასის", გამომცემლობა „სიდი-ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრის", გამომცემლობა „ლოგოს პრესის" და გამომცემლობა „დიოგენეს" შემთხვევაში, წარმოდგენილია შესაბამის ავტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც ადასტურებს მათ ექსკლუზიურ უფლებამოსილებას, საქართველოს ტერიტორიაზე გამოსცენ მომართვაში მითითებული სახელმძღვანელოები და რვეულები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესასყიდი სახელმძღვანელოების ავტორებსა და მოცემულ გამომცემლობებს შორის დადებული ხელშეკრულებების თანახმად, მათი მოქმედების პერიოდში, მასალის თარგმნისა და გამოცემის უფლება წარმოადგენს კონკრეტული გამომცემლობის ექსკლუზიურ უფლებას და შესაბამისად, მომართვაში მითითებული გამომცემლობების გარდა არ არსებობენ სხვა პირები, რომლებიც შეძლებენ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესასყიდი საქონლის მიწოდებას. ამასთან, არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების VII-XII კლასებში

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 2011 წლამდე მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმით. შესაბამისად, სწავლება ხორციელდება სახელმძღვანელოებით, რომლებსაც გრიფი მიენიჭა (შემდეგში - ითარგმნა) 2011 წლამდე. ხოლო რაც შეეხება გერმანული ენის და ფრანგული ენის სახელმძღვანელოებს, აღნიშნულთან დაკავშირებით, 2013 წლის 21 აგვისტოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლებსა და გერმანული ენის და ფრანგული ენის სპეციალისტებს შორის გამართულ შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველოს სკოლებში გერმანული, როგორც მეორე უცხოური ენის, საბაზო/საშუალო საფეხურზე სწავლებისათვის, გრიფირებული სახელმძღვანელოების დადგენამდე, სკოლებს განეხილათ სახელმძღვანელოების სერია „Genial" და „Optimal", ხოლო ფრანგულ ენაში განიხილონ სახელმძღვანელოების სერია „Bien Joue!" წარმოდგენილი შპს „გამომცემლობა დიოგენესა" და ფრანგული გამომცემლობა „HACHETTE"-ის ერთობლივი პროექტის სახით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე, არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა მომართვაში მითითებული სახელმძღვანელოებისა და რვეულების ჩასანაცვლებლად.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ საქონლის მიწოდებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე პირის/ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

## სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" SMP180000682 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე

# ხელშეკრულება განსაკუთრებული ლიცენზიის შესახებ

ქ.თბილისი 2 თებერვალი 2012 წელი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ერთი მხრივ, შპს გამომცემლობა „ტრიასი" (შემდგომში „ლიცენზიანტად" წოდებული), მისი დირექტორის, ელდარ არსენაშვილის სახით, და, მეორე მხრივ, ელნარ (ნანა) ზაალიშვილი (პირადი № 01005008369), თამარ (ნანა) იოსებაშვილი (პირადი № 01026009692), (შემდგომში „ავტორთა ჯგუფად" წოდებული), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას განსაკუთრებული ლიცენზიის შესახებ (შემდგომში „ხელშეკრულება") მასზედ, რომ:

## მუხლი 1 ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ავტორთა ჯგუფი ლიცენზიანტს გადასცა განსაკუთრებული ლიცენზიის გამოყენების უფლება ავტორთა ჯგუფის მიერ შექმნილი ნაწარმოებზე – VIII,IX,X,XI კლასების სერია ბიოლოგიაში (სახელმძღვანელო, მასწავლებლის წიგნი) – შემდგომში წოდებული „საავტორო უფლების ობიექტი".

1.2. საავტორო უფლების ობიექტის დასახელება: ბიოლოგია VIII,IX,X,XI კლასები

1.3. განსაკუთრებული ლიცენზიის უფლების გადაცემა ლიცენზიანტისათეის გულისხმობს ლიცენზიანტისათვის საავტორო უფლების გადაცემას, ლიცენზიანტის ან ლიცენზიანტის დაქირავებული პირის მიერ სახელმძღანელოს პოლიგრაფიულ ბეჭდვას, ექსკლუზიურ გამოცემას, ექსკლუზიურ გავრცელებას, ექსკლუზიურ რეალიზაციას.

1.4. განსაკუთრებული ლიცენზიის უფლებას ავტორთა ჯგუფი ლიცენზიანტს გადასცემს 2020 წლის 30 აპრილამდე.

1.5. ავტორთა ჯგუფი ლიცენზიანტს ანიჭებს უფლებას დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილებით, განსაკუთრებული ან ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით საავტორო უფლებები საავტორო უფლების ობიექტზე გადასცეს მესამე პირებს სსიპ "ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტის" მიერ გრიფის მინიჭების შემთხვევაში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის №30/ნ ბრძანებით დამტკიცებული "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესის" მოთხოვნათა შესაბამისად.

1.6. ავტორთა ჯგუფი ლიცენზიანტს ანიჭებს უფლებას, რომ ლიცენზიანტმა საავტორო უფლების ობიექტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის №30/ნ ბრძანებით დამტკიცებული "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესის" მოთხოვნათა დაცვით, წარადგინოს სსიპ "ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრში" VIII,IX,X,XI კლასების ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების საბაზო და საშუალო საფეხურისათვის განკუთვნილი ასევე დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნისათვის სახელმძღვანელოს/სერიის 2012 წლის გრიფირებაში მონაწილეობის მისაღებად.

1.7. ავტორთა ჯგუფი ადასტურებს, რომ ის ნამდვილად არის საავტორო უფლების ობიექტის ავტორი და მას არ აქვს გაცემული არანაირი ვალებულება სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირების წინაშე საავტორო უფლების ობიექტთან დაკავშირებით, რომელიც ხელს შეუშლის ლიცენზიანტის მიერ განსაკუთრებული ლიცენზიის გამოყენებას ან მიაყენებს ლიცენზიანტს მორალურ ან მატერიალურ ზიანს.

მუხლი 2 მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. ავტორთა ჯგუფი უფლებამოსილია:

2.1.1. მიიღოს ჰონორარი წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად.

2.1.2. გააკონტროლოს სახელმძღვანელოს ბეჭდვის ხარისხი და ტირაჟი.

2.2. ავტორთა ჯგუფი ვალდებულია:

2.2.1. წარუდგინოს სახელმძღვანელო ლიცენზიანტს ელექტრონული ან ნაბეჭდი სახით.

2.2.2. მიიღოს ჰონორარი.

2.2.3. ხელი შეუწყოს სახელმძღვანელოს პოპულარიზაციას.

2.2.4. არ მოახდინოს სახელმძღვანელოს გადაცემა სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირისათვის გამოსაყენებლად (იგულისხმება პოლიგრაფიული ბეჭდვა, გამოცემა, გავრცელება, რეალიზაცია), როგორც ლიცენზიანტისათვის გადაცემული ფორმით, ისე მისი სახეცვლილი ვარიანტის სახით ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. სახელმძღვანელოს დიზაინის, სათაურის და/ან დასახელების შეცვლა არ შეიძლება მხარეებს შორის განხილულ იქნეს, როგორც ავტორის მიერ სხვა ახალი ნაწარმოების-სახელმძღვანელოს შექმნა.

2.2.5 არ გასცეს ლიცენზია სხვა პირზე.

2.3 ლიცენზიანტი ვალდებულია:

2.3.1. საკუთარი ხარჯებით მოამზადოს საავტორო უფლების ობიექტი სსიპ "ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრში" VIII,IX,X,XI კლასების ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოთა 2012 წლის გრიფირებაზე წარსადგენად ყველანაირი ტექნიკური სტანდარტების დაცვით.

2.3.2.საკუთარი ხარჯებით მოამზადოს გამოსაცემად, დაბეჭდოს და გაავრცელოს ავტორის მიერ მოწოდებული სახელმძღვანელო.

2.3.3. უზრუნველყოს სახელმძღვანელოების გამოცემა მაღალი დიზაინით, კორექტურით, ექაპერტით, მოახდინოს მათი ხარისხიანი ბეჭდვა გავრცელება და პოპულარიზაცია.

2.3.4. მოაწყოს შეხვედრები სკოლებში, რაიონებში, დასახლებულ პუნქტებში, წიგნის პოპულარიზაციის და მარკეტინგის წარმატებით უზრუნველყობის მიზნით.

2.4. ლიცენზიანტი უფლებამოსილია:

2.4.1. განახორციელოს სახელმძღვანელოების გამოცემა, გავრცელება და რეალიზაცია შეუზღუდავად და დამოუკიდებლად.

2.4.2. წარმოადგენს რა განსაკუთრებულ ლიცენზიანტს, მას უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, როგორც ექსკლუზიურმა გამომცემელმა, რაც გამოიხატება გამომცემლის უფლებაში მხოლოდ მან გამოსცეს სახლემძღვანელო, დაბეჭდოს (ტირაჟით) და გაავრცელოს.

2.4.3. აუკრძალოს სხვა პირებს (მათ შორის ავტორს) სახელმძღვანელოს გამოყენება, გამოცემა, დაბეჭდვა, გავრცელება ან სხვა ნებისმიერი მოქმედება დამოუკიდებლად ლიცენზიანტის ნებართვის გარეშე. ლიცენზიანტის ნებართვის გარეშე სახელმძღვანელოს პოლიგრაფიული ბეჭდვისათვის, გამოყენებისათვის, გავრცელებისათვის, გამოცემისათვის, რეალიზებისათვის ნებისმიერ პირს მოსთხოვოს მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

2.4.4. გადასცეს განსაკუთრებული ან ჩვეულებრივი ლიცენზიის უფლება სსიპ "ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრს" გრიფის მინიჭების მომენტიდან საავტორო უფლების ობიექტის გრიფის არსებობის შეწყვეტამდე.

მუხლი 3 ჰონორარი

3.1. ავტორთა ჯგუფზე ჰონორაროს გადაცემა ხდება ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე.

3.2.. ავტორთა ჯგუფის ჰონორარი დაიბეგრება საქართველოს მოქმედი საგადასახადო კოდექსის თანახმად.

მუხლი 4 სადავო საკითხები

მხარეთა შორის, ყველა სადავო საკითხი გადაიჭრება მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკების გზით გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება სასამართლოს მიერ.

**მუხლი 5 სხვა პირობები:**

5.1. წინარე ხელშეკრულება ძალაში მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან.

5.2. წინარე ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა შორის სრულ შეთანხმებას. მას ენიჭება უპირატესი ძალა ამ საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი ზეპირი თუ წერილობითი შეთანხმების მიმართ.

5.3. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაკეთდეს წერილობით და ხელი მოეწეროს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

5.4. იმ შემთხვევაში თუ გრიფის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს განათლების სამინისტრო გააგრძელებს სახელმძღვანელოების გრიფის ვადას და თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეებს ერთმანეთის მიმართ არ წარმოეშვებათ რაიმე პრეტენზია ან ხელშეკრულებაში არ იქნება შესატანი რაიმე ცვლილება ან დამატება ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება იგივე პირობებით (ანაზღაურების შეთანხმებით).

5.5. იმ შემთხვევაში თუ სახლემძღვანელოზე მინიჭებული გრიფის მოოქმედების ვადა უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით შეწყდა ვადაზე ადრე, მაშინ ერთ-ერთი მხარის გადაწყვეტილებით წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე ცალმხრივად.

5.6. ხელშეკრულება შესრულებულია 5 (ხუთი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა ავტორთა ჯგუფს, ერთი ლიცენზიანტს და ორი სსიპ ''ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრს''

მუხლი 6

მხარეთა რეკვიზიტები:

"ლიცენზიანტი"

გამომცემლობა "ტრიასი"

ს/კ 405060801

საქართველო, თბილისი

რობაქიძის გამზ.№7

---

დირექტორი:

ლიზბარ არსენაშვილი

" ავტორთა ჯგუფი"

ელნარი(ნანა)ზაალიშვილი

პირ.№01005008369

---

თამარ(ნანა)იოსებაშვილი

პირ.№01026009692

ᲢᲠᲘᲐᲡᲘ
გამომცემლობა

თბილისი.რობაქიძის 7 სკ/405060801; ტელ:2 515206; 579467799 E-mail: infotriasi@gmai

ს.ს.ი.პ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტო"–ს დირექტორს:ბ–ნ ზვიად როსტომაშვილს

გაცნობებთ რომ ამა წლის 16 მარტს ს.ს.ი.პ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"–ს და გამომცემლობა „ტრიასი"–ის შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაზუსტდა კონკრეტული მახასიათებლები. კერძოდ ბიოლოოგიის 8 კლასის არაქართულენოვან სახელმძღვანელოში სადაც მითითებული გვერდების რაოდენობა 136 ნაცვლად არის 112 გვერდი.

დირექტორი
ელდარ არსენაშვილი

2018 წლის 21 03

თბილისი,რობაქიძის 7. ტელ: 2 51 52 06; 579 49 77 99. E-mail: infotriasi@gmail.com

ს.ს.ი.პ. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
შემოსული № 31350/1
21 — 03 — 2018 წ.

# ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 16 მარტი 2018 წ.

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების მიწოდების თაობაზე 2018 წლის 16 მარტს გაფორმებულ №320206/06/37 ხელშეკრულების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შ.პ.ს. „გამომცემლობა ტრიასი“-ს მიმართ არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

ლელა სვიმონია

ეკატერინე ომიაძე

ნიკოლოზ სხილაძე

თენგიზ თოდაძე